

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი/Master in International Affairs

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს შესძინოს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რის მეშვეობითაც ისინი შეძლებენ წარმატებით დასაქმდნენ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისა და ასევე საერთაშორისო ეკონომიკის მიმართულებით რათა განამტკიცონ საკუთარი ქვეყნის პოზიციები და ხელი შეუწყონ მშვიდობის დამყარებას მსოფლიოში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სურს გაიღრმავოს ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ნებისმიერ სფეროში; 2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვრის გადალახვა; 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დოკუმენტაციის ანალიზი: ამ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააპლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას; გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში (ტესტი საერთაშორისო ურთიერთობების ცოდნის დონის შესამოწმებლად);

გასაუბრება მიმღებ კომისიასთან, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა არჩეულ დარგში და ინგლისურ ენაში. ასვე განისაზღვროს აპლიკანტის უნარ-ჩვევების შესაბამისობა.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრს აქვს დარგის სისტემური და სიღრმისეული ცოდნა, რაც საშუალებას იძლევა უკეთ დაინახოს და გაიაზროს არა მხოლოდ თავის სფეროსთან დაკავშირებული არამედ მომიჯნავე დარგების საკითხებიც. ისეთი საკითხების ღრმა ცოდნით როგორცაა საერთაშორისო ურთიერთობების თეორია და პრაქტიკა, სახელმწიფო მართვის მოდელები, ეკონომიკური განვითარება, უსაფრთხოება და სტრატეგია, საერთაშორისო ურთიერთობათა სამართლებრივი ასპექტები, მაგისტრი იფართოებს თვალსაწიერს, მას უნვითარდება უნარი მრავალმხრივად, სხვადასხვა პერსპექტივაში გაანალიზოს საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხები, დასახოს საკითხის შესაძლო გადაჭრის ახლებური გზები და მოახდინოს თავისი პოზიციის არგუმენტირებულად დაცვა როგორც თეორიის, ასევე პრაქტიკული მაგალითების მოშველიების გზით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

მაგისტრს შეუძლია თეორიული მოდელების პრაქტიკაში გააზრება და გამოყენება, მოცემული პრობლემებისა და საკითხების გაანალიზება და ახალი იდეების გენერირება. მას შეუძლია ეფექტურად მუშაობა დროისა და რესურსების სიმწირის პირობებში როგორც ინდივიდუალურად ასევე გუნდთან ერთად. მაგისტრს აქვს უნარი გაანალიზოს საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე საკითხები და ჩამოაყალიბოს შესაბამისი მიმართულებებით საჭირო ნაბიჯები ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებში. შეუძლია თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბოს ზეპირად და წერილობით, - ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს სამსახურეობრივი დანიშნულების ანალიტიკური მემორანდუმები თუ კვლევები.

გარდა ამისა, დარგის შესწავლა აიოლებს მომიჯნავე დარგებში ცოდნის ათვისებას, რაც განაპირობებს სამუშაო სფეროს არეალის გაზრდას. შესაბამისად, დასაქმება შესაძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების, ეროვნული უსაფრთხოებისა და განვითარებასთან დაკავშირებულ სფეროებში - როგორც შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძო და არასამთავრობო სექტორში.

დასკვნის უნარი:

დარგის ცოდნა ანვითარებს მოვლენათა საღად შეფასების, საჭირო წყაროების მოძიებისა და მათთან მუშაობის უნარს, კრიტიკულ და ლოგიკურ აზროვნებას. მაგისტრი საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებულ მოვლენებს აფასებს კომპეტენტურად და აკეთებს საღ, პროფესიონალური ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს. იგი მოვლენებს აანალიზებს უსაფრთხოების, სამართლებრივ და ეკონომიკური განვითარების ჭრილში და შესაბამისად მის მიერ გაკეთებული დასკვნები არ არის ცალმხრივი, ეფუძნება მრავალმხრივ ხედვას და არის შეძლებისდაგვარად მიუკერძოებელი, თავისუფალი რომელიმე იდეოლოგიის ან პოლიტიკური ხედვის გავლენისაგან.

კომუნიკაციის უნარი:

დანერგილი სასწავლო მეთოდოლოგია აკადემიური პროცესის განმავლობაში ორიენტირებულია ჯგუფურ მუშაობასა და პრეზენტაციების შესრულებაზე, რაც მაგისტრს აჩვენებს სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან მუშაობასა და სხვადასხვა აუდიტორიასთან ურთიერთობას. მაგისტრს აქვს უნარი კომპეტენტურ და პროფესიონალურ დონეზე დაამყაროს ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაცია ქართველ თუ უცხოელ დიპლომატებთან, ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებით მომუშავე სხვა საჯარო მოხელეებთან, დარგის მკვლევარებთან, დარგში მომუშავე ჟურნალისტებთან. ამას ხელს უწყობს როგორც დარგის, ასევე ინგლისური ენის კარგი ცოდნაც. მაგისტრს შეუძლია გამართოს დისკუსია პროფესიონალურ დონეზე, გააკეთოს პრეზენტაციები რაშიც დაეხმარება არა მხოლოდ დარგში მიღებული ცოდნა, არამედ ასევე სწავლის დროს განვითარებული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები

სწავლის უნარი:

სწორად დაგეგმილი აკადემიური პროცესი ავითარებს რეგულარული და ინტენსიური მუშაობის უნარს, როგორც დამოუკიდებლად მაგალითად სახელმძღვანელოებთან ასევე გუნდში. ეს უნარი განაპირობებს სწავლის გაგრძელების მოტივაციას უფრო მაღალ დონეზე სწავლის გასაგრძელებლად და აკადემიური ხარისხის მოსპოვებლად.

მიღებული ცოდნის შედეგად შეუძლია გააგრძელოს დარგის უფრო სიღრმისეული შესწავლა ისეთი მიმართულებებით როგორცაა მაგალითად სხვადასხვა რეგიონების უსაფრთხოება და განვითარება; საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის უახლესი კონცეფციები; სხვადასხვა სახელმწიფოების საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.

ღირებულებები:

დარგის შესწავლის შედეგად მაგისტრს უნვითარდება საკუთარი ქვეყნის განვითარებისა და უსაფრთხოების დაცვის, მსოფლიოში მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამყარებისა და დაცვის ღირებულებები.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება

ელექტრონული სწავლება

სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4

B = 3, 2

C = 2, 4

D = 1, 6

E = 0, 8

დასაქმების სფერო:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში და ასევე კერძო სექტორშიც. პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას აწარმოონ კვლევა ან პრაქტიკა საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - imb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

თორნიკე შარაშენიძე
პროფესორი

ბროსეს ქ. #1
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995 599) 199983
e-Mail: t.sharashenidze@gipa.ge

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ¹	
				I წელი		II წელი		საკონტაქტო საათები ²	დამოუკიდებელი საათები ³
				სემესტრი					
				I	II	III	IV		
სასწავლო კომპონენტი⁴									
სავალდებულო სასწავლო კურსები				18	30	18	6		
1.	IRMA001	არ გააჩნია	შედარებითი პოლიტიკა	6/150				40	110
2.	IRMA002	არ გააჩნია	დიპლომატიის ისტორია, 1800-1914	6/150				36	114
3.	IRMA003	არ გააჩნია	ომი და სტრატეგია	6/150				42	108
4.	IRMA004	არ გააჩნია	საერთაშორისო სამართალი		6/150			40	110
5.	IRMA005	არ გააჩნია	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია		6/150			36	114
6.	IRMA006	არ გააჩნია	კავკასია XIX-XX: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია		6/150			36	114
7.	IRMA007	IRMA002	დიპლომატიის ისტორია, 1914-1991		6/150			36	114
8.	IRMA008	არ გააჩნია	ეკონომიკის საფუძვლები		6/150			42	108
9.	IRMA009	არ გააჩნია	დაზვერვის საფუძვლები			6/150		36	114
10.	IRMA010	IRMA007	თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა			6/150		36	114
11.	IRMA011	არ გააჩნია	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) საერთაშორისო პოლიტიკაში			6/150		36	114
12.	IRMA012	არ გააჩნია	კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა				6/150	36	114

¹ დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

² საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

³ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (სამინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

⁴ საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის ან სხვა კომპონენტის სახით.

არჩევითი სასწავლო კურსები				12	6			
1.	IRMA013	არ გააჩნია	საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოების ხელოვნება	6/150			42	108
2.	IRMA014	IRMA008	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა	6/150			36	114
3.	Law 760	IRMA004	ევროკავშირის სამართალი	6/150			40	110
4.	Law 615	IRMA004	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	6/150			40	110
5.	IRMA015	IRMA008	საერთაშორისო ეკონომიკა		6/150		42	108
6.	Law 630	IRMA004	საერთაშორისო სახელშეკრულებლო სამართალი		6/150		39	111
კვლევითი კომპონენტი ⁵							30	
1.	INRM021	90 ECTS	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა				30/750	
სემესტრში				18	42	24	36	
წელიწადში				60		60		
სულ					120			

შენიშვნა: სტუდენტს შესაძლებლობა აქვს 12 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამის საგნები.

⁵ საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო სამაგისტრო ნაშრომის სახით

სწავლების შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	მოდული/საგანი	კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ლირებულულებები
სავალდებულო სასწავლო კურსები								
1.	IRMA001	შედარებითი პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
2.	IRMA002	დიპლომატიის ისტორია, 1800-1914	X	X	X	X		X
3.	IRMA003	ომი და სტრატეგია	X	X	X	X		X
4.	IRMA004	საერთაშორისო სამართალი	X	X	X	X	X	X
5.	IRMA005	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	X	X	X	X	X	X
6.	IRMA006	კავკასია XIX-XX: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია	X	X	X	X		X
7.	IRMA007	დიპლომატიის ისტორია, 1914-1991	X	X	X	X		X
8.	IRMA008	ეკონომიკის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
9.	IRMA009	დაზვერვის საფუძვლები	X	X	X	X		X
10.	IRMA010	თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა	X	X	X	X		X
11.	IRMA011	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) საერთაშორისო პოლიტიკაში	X	X	X	X		X
12.	IRMA012	კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა	X	X	X	X	X	X
არჩევითი სასწავლო კურსები								
1.	IRMA013	საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოების ხელოვნება	X	X	X	X	X	
2.	IRMA014	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა	X	X	X	X	X	
3.	IRMA015	საერთაშორისო ეკონომიკა	X	X	X	X		X
4.	Law 760	ევროკავშირის სამართალი	X	X	X	X	X	X
5.	Law 615	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	X	X	X	X	X	X
6.	Law 630	საერთაშორისო ხელშეკრულებები	X	X	X	X	X	X

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	თორნიკე შარაშენიძე
თანამდებობა	სამართლის და პოლიტიკის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი: + (995) 599 199983 ელ-ფოსტა: t.sharashenidze@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	დისერტაციის სათაური: იდეოლოგიებისა და გეოპოლიტიკური კონცეფციების შესაძლო გავლენა რუსეთის რუსეთის ქვეყანაზე საერთაშორისო პოლიტიკაში (2010) კვლევების სფეროები: დიპლომატიის ისტორია, რეგიონული უსაფრთხოება, რუსეთის საგარეო პოლიტიკა
პუბლიკაციები	<ul style="list-style-type: none"> - დიპლომატიის ისტორია, მე-19 საუკუნე (წიგნი. 2013); - დიპლომატიის ისტორია, 1890-1920 (წიგნი. 2015); - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალის GIPA Journal of Politics and Democratization რედაქტორი; - NATO AS Viewed from Tbilisi and Moscow (Georgian Foundation for Strategic and International Studies, Friedrich Ebert Stiftung. 2017); - Ukraine Crisis' Impact on South Caucasus (Ukraine Analytica. 2015)

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ბაკურ კვამილავა	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> შედარებითი პოლიტიკა; საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.
2.	თორნიკე შარაშენიძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> დაზვერვის საფუძვლები; დიპლომატიის ისტორია, 1800-1914; დიპლომატიის ისტორია, 1914-1991.
3.	თენგიზ ფხალაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოების ხელოვნება.
4.	მერაბ კაკულია	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო ეკონომიკა; ეკონომიკის საფუძვლები.
5.	ზურა აგლაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ომი და სტრატეგია.
6.	დავით სახვაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა
7.	ნინო ხურციძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო სამართალი.
8.	ბექა კობახიძე	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) საერთაშორისო პოლიტიკაში; კავკასია XIX-XX: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია.
9.	ზვიად ბარქაია	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა; თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა
10.	ვერა მოდეზაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ევროკავშირის სამართალი
11.	თამარ თომაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
12.	სოფო წაქაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო ხელშეკრულებები